

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №10

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №10

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი მაღალტექნოლოგიური 100 საწოლიანი, მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. ბათუმის №2 საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი შუახევში, გენერალური გეგმის შესაბამისად;

გადასაცემი ობიექტები:

- შპს „ქ. ბათუმის №1 საავადმყოფო“
- შპს „ქ. ბათუმის №2 პოლიკლინიკა“
- შპს „შუახევისრაიონული საავადმყოფო“
- შპს „შუახევის რაიონული პოლიკლინიკა“ (აქვე განთავსებულია "03"
- შპს „ქ. ბათუმის №3 პოლიკლინიკა“
- შპს „ქ. ბათუმის №2 საავადმყოფო“

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საბანკო გარანტიის წარმოდგენა მაქსიმალური თანხით;
- საბანკო გარანტიით ერთი და იგივე თანხის წარმოდგენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროექტის დასრულების ვადას.

შერჩევაში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი მინიმუმ 1 725 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია, აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 20 ივლისის 17 სთ.-მდე.

წინადადებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801; 20 ივლისს, 17 სთ. და 30 წუთზე.

შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №10 - შედეგები

20 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მე-10 პროექტის კონკურსი გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ერთი ერთობლივი განაცხადი შპს "ჰსპ-ფარმას", შპს "ავერსი-ფარმას", "ჯი-პი-სი" და "ბლოკ-ჯორჯია"-სგან. გამარჯვებულად სწორედ ეს გაერთიანება დასახელდა.

გენერალური გეგმის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებული კომპანიების ერთობლივმა გაერთიანებამ უნდა შექმნას შემდეგი ობიექტები:

- ერთი მაღალტექნოლოგიური 100 საწოლიანი, მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. ბათუმის №2 საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი შუახევში, გენერალური გეგმის შესაბამისად;

გამარჯვებულებს კი შემდეგი ობიექტები გადაეცემა:

- შპს „ქ. ბათუმის №1 საავადმყოფო“
- შპს „ქ. ბათუმის №2 პოლიკლინიკა“
- შპს „შუახევისრაიონული საავადმყოფო“
- შპს „შუახევის რაიონული პოლიკლინიკა“ (აქვე განთავსებულია "03"
- შპს „ქ. ბათუმის №3 პოლიკლინიკა“
- შპს „ქ. ბათუმის №2 საავადმყოფო“

კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად გამარჯვებულებმა " TBC ბანკის" გარანტია წარმოადგინეს.